ოქმი:**ო31.31220531**
თარიღი:**22/02/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

15. 02. 2022 წელი

12.00 საათი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ჯანაშია(მომართვა N-31-31220451-ის საფუძველზე), ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოგუაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა ერთი საკითხი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მოუწოდა ბიუროს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის მომართვის საფუძველზე დღის წესრიგის პროექტის მე-7-ე და მე-8-ე საკითხებთან დაკავშირებით მომხსენებლად განისაზღვრა მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ია ჩხაიძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4**.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს

კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის იანვრის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

10. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 21 თებერვალი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. კერძოდ, პოლიტიკურ თანამდებობის პირთა ხელფასები წლების განმავლობაში არ გაზრდილა. მათი საქმიანობის დაფასებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელფასების გარკვეული რაოდენობით გაზრდის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხელფასების მოწესრიგება. დადგენილების მისაღებად დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები (ლარში) განსაზღვრულია შემდეგნაირად:

საკრებულოს თანამდებობის პირები:

1. საკრებულოს თავმჯდომარე 1- 4510;

2. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე 1 -3410;

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე 2- 2970;

4. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე 5-2420;

5. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე 3- 2200;

6. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე 8 -1760.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მომსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები(ლარში).

საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილება:

1. საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) 1- 2200;

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება:

2. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) 1- 1760;

3. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) 1-1210;

4. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) 1-1210;

5. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1210;

საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილება:

6. აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი) 1-1540;

7. საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი 9-1100;

საკრებულოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა:

8. საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე 1;

9. მერიისა და საკრებულოს სპეციალისტი კომპიუტერული მომსახურების დარგში 1;

10. საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი 1;

11. საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი 1;

12. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მძღოლი 1.

დადგენილების მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, რატომ არის სხვაობა მერის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობრივი სარგოს ოდენობებს შორის, აგრეთვე, მერიის სტრუქტურული ერთეულის სამსახურის უფროსების და საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების თანამდებობრივი სარგოს ოდენობებს შორის. ის ასევე დაინტერესდა, დადგენილების მიღებით თანხის რა ოდენობით გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები, რატომ არ არის აღნიშნულ პროექტში საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომლებისთვის თანამდებობრივი სარგოს მატება და მთავრობის რომელი დადგენილების საფუძველზე მოხდება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ ცვლილებების შეტანა.

ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ ის არ არის წინააღმდეგი მუნიციპალიტეტის

საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს მატებასთან დაკავშირებით, მაგრამ უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ არსად არ არის საუბარი ა(ა)იპიების თამშრომლებისთვის თანამდებობრივი სარგოს მომატებაზე. მისი თქმით, აუცილებლად უნდა იქნეს გამონახული რესურსი ა(ა)იპიებში შრომის ანაზღაურების თანხის მოსაწესრიგებლად, რასაც დაეთანხმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძეც.**

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ ამ დადგენილების მიღებით ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯები გაიზრდება 283 444 ლარის ოდენობით, ხოლო საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ თანამშრომლებს თანამდებობრივი სარგო ნამდვილად ემატებათ, დანართში მითითებულია მათი რაოდენობა და თანხის ოდენობა შემდეგ განისაზღვრება ინდივიდუალურად ხელშეკრულებაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის ზედა ზღვარი, საქართველოს მასშტაბით, განსაზღვრულია მუნიციპალიტეტების კლასის მიხედვით, ხოლო საჯარო მოხელეთათვის ხელფასების მატება ხდება მოცემული კოეფიციენტით, მაგრამ ამ ეტაპზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამის რესურსი არ არის. მისი თქმით, ა(ა)იპიების თამშრომლებისთვის შრომის ანაზღაურების თანხა ნამდვილად მოსაწესრიგებელია და მიმდინარეობს მუშაობა ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის

პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ.** მან განმარტა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. წარმატებული სპორტსმენის, მწვრთნელის, ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის დაჯილდოება.

1. წარმატებული სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ჩემპიონატის: I ადგილი – 600 ლარი, II ადგილი – 400 ლარი, III ადგილი – 300 ლარი.

ბ) ევროპის ჩემპიონატის: I ადგილი – 800 ლარი, II ადგილი – 600 ლარი, III ადგილი – 500 ლარი.

გ) მსოფლიო ჩემპიონატის: I ადგილი – 1 000 ლარი, II ადგილი – 800 ლარი, III ადგილი – 600 ლარი.

დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 2 000 ლარი, II ადგილი – 1 500 ლარი, III ადგილი – 1000 ლარი.

2. წარმატებული სპორტსმენის მწვრთნელის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს ჩემპიონატის: I ადგილი – 400 ლარი, II ადგილი – 300 ლარი, III ადგილი - 200 ლარი.

ბ) ევროპის ჩემპიონატის: I ადგილი – 600 ლარი, II ადგილი – 400 ლარი, III ადგილი – 300 ლარი.

გ) მსოფლიო ჩემპიონატის: I ადგილი – 800 ლარი, II ადგილი – 600 ლარი, III ადგილი – 400 ლარი.

დ) ოლიმპიური თამაშების: I ადგილი – 1500 ლარი, II ადგილი – 1200 ლარი, III ადგილი - 1000 ლარი.

3. წარმატებული გუნდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით: საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატის I- ადგილი 2 000 ლარი, II-ადგილი 1 500 ლარი, III-ადგილი 1 000 ლარი.

4. ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისზღვროს საბიუჯეტო წლის მანძილზე ერთჯერადად გასაცემი თანხით - 300 ლარის ოდენობით.“

ბ) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების, ხელოვნების წარმომადგენლობების, შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირების დაჯილდოება.

1. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ინდივიდუალური შემსრულებლების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში: I ადგილი – 300 ლარი, II ადგილი - 200 ლარი, III ადგილი - 100 ლარი.

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში: I ადგილი – 500 ლარი, II ადგილი - 300 ლარი, III ადგილი - 200 ლარი.

2. ხელოვნების წარმომადგენლობების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში: I ადგილი - 1000 ლარი, II ადგილი - 800 ლარი, III ადგილი - 600 ლარი.

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში: I ადგილი – 1200 ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 800 ლარი.

3. შემოქმედებითი დასების და ინდივიდუალური შემსრულებლების ხელმძღვანელი პირების ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) საქართველოს მასშტაბით ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი – 200 ლარი.

ბ) საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსებზე გამარჯვების შემთხვევაში I ადგილი – 300 ლარი.“

გ) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 6. გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ორგანიზებული-საგანამანთლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) გუნდი: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 300 ლარი;

ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი- 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 200 ლარი.“

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ია მოქია** დაინტერესდა, აღნიშნული დადგენილების მე-6-ე მუხლის ბ) პუნქტში რატომ არის თანაბარი გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა მე-2-ე და მე-3-ე ადგილების მფლობელთათვის.

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ფულადი ჯილდოს ოდენობის განსაზღვრა მოხდა შესაბამისი ა(ა)იპების სამსახურის უფროსებთან და კომპეტენტურ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე. მან ასევე განმარტა, რომ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნებისა და წინადადებების არსებობის შემთხვევაში ის მზად არის ითანამშრომლოს საკრებულოს კომისიებთან და ფრაქციებთან.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების

პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ 2022 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შესატანად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოგიდგენთ ბიუჯეტის ცვლილების კორექტირებულ ვერსიას, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის N2380 განკარგულებით შეტანილი ცვლილებებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ელექტროფიკაციის სამუშაოების დაფინანსებისათვის გამოიყო 1639804 ლარი, თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 16564 ლარი სულ პროექტის ღირებულებაა 1656368 ლარი, სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე და მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე გამოიყო 1380570 ლარი, თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მიიმართოს 13945 ლარი, სულ პროექტის ღირებულება 1394515 ლარი. აღნიშნული პროექტების თანადაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 2925911 ლარი, რომელიც მიიმართება ქ.ლანჩხუთში დუმბაძის, წმ.ნინოს, წულაძის, გოგიჩაიშვილის, მარჯანიშვილის, გვარჯალაძის, კუპრეიშვილის შესახვევის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაციაზე 2461682 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით მიიმართება 129563 ლარი, სულ პროექტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა 2591245 ლარით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების (მრავალწლიანი) რეაბილიტაცია 160049 ლარი, თანადაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8424 ლარი;(წინა წელს დაკავებული (შესრულებული სამუშაო) 110527 ლარი, სულ პროექტის დაფინანსება მიმდინარე წელს 279000 ლარი, ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯიხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიის ელექტროფიკაციის სამუშაოებზე (მრავალწლიანი) 304180 ლარი, თანადაფინანსება 16010 ლარი, (დაკავებული თანხა) 1500 ლარი, სულ პროექტის დაფინანსება მიმდინარე წელში 321690 ლარი. ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყვავილნარში გზის რეაბილიტაცია (დაკავებული) ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8362 ლარით დაფინანსდება. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხები უნდა მიიმართოს მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციაზე კერძოდ; ქ.ლანჩხუთში თბილისის ქუჩაზე მრავალბინიანი კორპუსის სახურავის რეაბილიტაციაზე 118246 ლარი, სოფელ სუფსაში (მეხის დაცემის) დამწვარი სახლის აღდგენით სამუშაოებზე 80301,32 ლარი, სოფელ გრიგოლეთში სასტუმრო „ლანშთანთან“ ნამატი წყლის კორექტორის მოწყობაზე 187777 ლარი; სუფსის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე 79124 ლარი, აცანის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე 118888 ლარი, მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად

დაზიანებული ოჯახებისათვის სახლის სახურავის შესყიდვაზე 150240 ლარი, აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად (325 განკ.) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართება 17191,23 ლარი. სოფელ ქვიანში, სოფელ მოედანში და სოფელ ბაღლეფში სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაციაზე მიიმართება 865119,35 ლარი, ქალაქის, გვიმბალაურის, ღრმაღელის, ჩოჩხათის, ლესის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდების რეაბილიტაციაზე მიიმართება 331781,45 ლარი, გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა რეაბილიტაციაზე (წინა წელს) მიიმართება 260647,67 ლარი, სოფელ ჯიხანჯირის სკოლის ეზოში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებზე მიიმართება 102000 ლარი, გარე განათების გამართული ფუნქციონირების მიზნით სპეც ტექნიკის შეძენაზე მიიმართება 199000 ლარი, სუფსის სამუსიკო სკოლის სახურავის მასალის (ადგილობრივი) შესყიდვაზე მიიმართება 29972 ლარი, სოფელ აკეთში კულტურული მემკვიდრეობითი სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოებზე 22365 ლარი, სოფელ შუხუთში გზის ნაპირსამაგრის მოწყობაზე 18942 ლარი, სოფელ გულიანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის (ადგილობრივი) სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 19976,49 ლარი, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების კამერების მომსახურებაზე 600 ლარი. შემოსული წერილების განხილვის გათვალისწინებით ა(ა)იპ „სპორტული ცენტრის“ დაფინანსება გაზიარდოს 16400 ლარით, შპს „სტდიონის“ დაფინანსება გაიზარდოს 5100 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობაში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით მიზანშეწოლილია გაიზარდოს საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლი 321200 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 10000 ლარით, ხოლო საკრებულოში დასაქმებულ პერსონალთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით გაიზარდოს საკრებულოს არაფინანსური აქტივების დაფინანსების მუხლი 80000 ლარით, ასევე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით. გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების მუხლი 628500 ლარით; საქონელი და მომსახურების მუხლი 16000 ლარით, არაფინანსური აქტივების მუხლი 90000 ლარით. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შრომის ანაზღაურებუის მუხლი გაიზარდოს 49800 ლარით, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე მიიმართოს 300379,76 ლარი. აღნიშნული ღონისძიებების ხარჯების დაფინანსებაზე მიიმართება; საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებაში 2021 წლის 27 დეკემბრის N2380 განკარგულებით შესული ცვლილების საფუძველზე გამოყოფილი 3020374 ლარი, საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 იანვრის N75 განკარგულებით გამოყოფილი 2925911 ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე მიიმართება საქართველოს მთავრობის N51 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხები 300372,76 ლარი, ასევე საქართველოს მთავრობის წინა წლების განკარგულებით ჩამორიცხული თანხები, რომელიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხება ბიუჯეტის ანგარიშზე; კერძოდ N330 განკარგულება 1599696 ლარი, N2685 განკარგულება 1500 ლარი, N325 განკარგულება 17191 ლარი, N2577 განკარგულება 214584 ლარი, N27 განკარგულება 102000 ლარი. ამასთან განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსებაზე და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფაზე მიიმართოს 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში რიცხული თანხის ნაშთიდან 2132496 ლარი და დ.ღ.გ.

გადასახადის 57500 ლარის ზრდით მიღებული შემოსავალი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე** დაინტერესდა, რატომ არ არის სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხების ნუსხაში ჩიბათის და მაჩხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხების ნუსხაში შეტანილი იყოს მილხიდების მოწყობის საკითხი, რადგან ადმინისტრაციულ ერთეულებში ამ პრობლემის გამო დაზარალებულმა ოჯახებმა წლის მოსავალი ვერ დააბინავეს საკუთარ ბეღელში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ ეტაპზე საუბარია სოფელ გრიგოლეთში სასტუმრო „ლაშთანთან“ ნამატი წყლის კორექტორის მოწყობაზე და სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რეაბილიტაციის კუთხით მიმართულ თანხებზე, ხოლო სხვა პროექტების მომზადება მოხდება შემდგომი დაფინანსების მიხედვით. მან ასევე აღნიშნა, რომ მილხიდების თაობაზე ქონდა საუბარი ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან, რათა მათ აღრიცხონ და მიაწოდონ მერიის შესაბამის სამსახურს სტიქიის შედეგად რეალურად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ნუსხა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის კულტურის სახლის საპირფარეშო არის უკიდურესად ამორტიზებული და მუნიციპალიტეტის მერს, თანამოქალაქეების სახელით, სთხოვა დახმარება პრობლემის მოგვარებაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ვერიკო კვირკველიას და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის კულტურის სახლის საპირფარეშო მართლაც საჭიროებს რეაბილიტაციას და შესაძლებელია ამ საკითხის მოგვარება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ვადის გადაწევა, რადგან მიმდინარე წელს უამინდობამ ხელი შეუშალა გარკვეული სამუშაოების დასრულებას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების გადავადება მოხდება მხოლოდ სტიქიის ან რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემის შემთხვევაში.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა როდის მოწესრიგდება ლანჩხუთში რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია ორივე მხრიდან და ბაკურის მიმართულებით საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა, ასევე გასული წლის ბიუჯეტში, ჯარიმების სახით შემოსული 2460000 ლარიდან, რამდენია მერიის ზედამხედველობის და სხვა სამსახურების დამსახურება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, რამდენი კილომეტრია ბაკურის მიმართულებით საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა და რა დრო იქნება საჭირო მის მოსაწესრიგებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარება არის მიმდინარე წლის გეგმაში, მაგრამ გაკეთდება ეტაპობრივად შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო ბაკურის მიმართულებით საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა 11 კილომეტრამდეა და

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაახლოებით 2-3 წელი გაგრძელდება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც მიზანშეწონილად მიჩნეულია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, (2007 წელს გამოშვებული ავტობუსის PAZ 4234-00 -ს სახელმწიფო ნომრით MAO-771 და 2007 წელს გამოშვებული ავტობუსის PAZ 4234-00 -ს სახელმწიფო ნომრით MAO-772) რომელიც შეფასებულია 2500ლარად, შემდგომი განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის

გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად, ხოლო პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, ვის ბალანსზეა 2007 წელს გამოშვებული სამი ყვითელი ავტობუსი, რომელთაგან ორი დღემდე მუშაობს შიდა საქალაქო მარშუტზე, ხოლო 2007 წელს გამოშვებული მწვანე ავტობუსი რატომ უნდა შეიტანონ მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შემდგომი განკარგვის მიზნით მაშინ, როცა უფრო გამომდგარია ჩვენი რელიეფისთვის და შესაძლოა გამოდგეს სოფლების მარშუტზე სამოძრაოდ.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ** განმარტა, რომ ყვითელი ავტობუსები მიღებულია თხოვების ხელშეკრულებით და არ არის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, ხოლო მწვანე ავტობუსები დიდი ხანია გამოსულია მწყობრიდან, სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნით არ ექვემდებარება შეკეთებას და შეფასებულია 2500 ლარად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ აცანაში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ 1911.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.02.42.321) აშენდა საბავშვო ბაგა-ბაღი. აღნიშნული უძრავი ქონება, მისი ფუნქციური დანიშნულების განხორციელების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გადაეცეს ა(ა)იპ „სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს“, (ს/ნ 233732565), რომელიც შესძლებს მისი წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების უკეთ განხორციელებას. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, მისი არსებობის ვადით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების ზრდას.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა რამდენია აცანაში მდებარე ა(ა)იპ „სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის“ საბალანსო ღირებულება და გათავისუფლებულია თუ არა იგი ქონების გადასახადისაგან.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი ნაჭყებიამ** განმარტა, რომ ა(ა)იპ არის არამომგებიანი, არაკომერციული ორგანიზაცია და ყველა ა(ა)იპი ქონების გადასახადისგან გათავისუფლებულია. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ, დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, მისი არსებობის ვადით, ამიტომ როცა პროექტი შემოდის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ა(ა)იპ „სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე დოკუმენტში მითითებულია ობიექტის და ნაკვეთის მოცულობა, ხოლო მისი ფასი მითითებულია უზურფრუქტით გადაცემის ხელშეკრულებაში, რომელიც თან ახლავს პროექტის დოკუმენტაციას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრისთვის“ პირდაპირი

განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის იანვრის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 208804.16 ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 208804.16 ლარი, მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 108804.16 ლარი. საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1003768.516 ლარი შეადგინა, დღგ-მ შეადგინა 813577.07 ლარი. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 7061.41 ლარი. მათ შორის ფიზიკური პირებიდან-6712.96 ლარი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი 2193.75 ლარი. სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 180842.826 ლარი. მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 3494.96 ლარი. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია-2495.44 ლარი. ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები 1460.44 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 173961.90 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის იანვრის თვეში შემოსულობებმა 1212572.68 ლარი შეადგინა, ხოლო განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 807210 ლარი. დეკემბრის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 440410 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 167677 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 326736.9 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 59586 ლარი; არაფინანსური აქტივების

ზრდაზე მიმართული იქნა 16400 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა **ელიკო იმნაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოდგენილია კორექტირებული დადგენილების პროექტი:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები:

პოლიტიკური თანამდებობის პირები:

1. მერი 5060ლ;

2. მერის პირველი მოადგილე 3850ლ;

3. მერის მოადგილე 3520ლ.

პროფესიული საჯარო მოხელეები პირველადი სტრუქტურული ერთეული - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი 1- 2200ლ

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში 1 -1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1 -1100ლ.

მეორადი სტრუქტურული ერთეული - საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1- 1760ლ; მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1 -1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2- 1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1- 1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1- 1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - შესყიდვების განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი 1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 3-1210ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული-სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -სამსახურის უფროსი 1 2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - სივრცითი მოწყობის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1- 1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ინფრასტრუქტურის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1- 1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 4-1210ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1- 2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული -საბიუჯეტო განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1- 1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ბუღალტრული აღრიცხვა–ანგარიშგების განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1- 1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - სოციალური და ჯანდაცვის სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 4-1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული-ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება:

მეორე რანგი-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 4-1210ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - განათლებისა და კულტურის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ; მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1210ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ზედამხედველობის სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 3-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ინსპექტირების განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 3-1210ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ქონების მართვის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 3-1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

პირველადი სტრუქტურული ერთეული - სამხედრო აღრიცხვის,გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური:

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამსახურის უფროსი 1-2200ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - წვევამდელთა პირველადი სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი 1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 2-1100ლ;

მეორადი სტრუქტურული ერთეული - რეზერვისტთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის განყოფილება:

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-განყოფილების უფროსი1-1760ლ;

მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1210ლ;

მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი 1-1100ლ;

ჯამი-89 ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული-მერის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში 16 1000ლ, 43-ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში 27 600, ჯამი სულ 132.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და

თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა **ელიკო იმნაძემ.** მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში დაგეგმილია სტრუქტურული რეორგანიზაცია, რაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებს არაერთი პროცედურის განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელი რომ არ შეგვეშალოს დაგეგმილი ცვლილების განხორციელებაში, წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

    1. საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს

საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული 18 წევრისაგან და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული 9 წევრისაგან.

2. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილის და თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება;

3.მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) საკრებულოს კომისიის შექმნა; კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება; ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და დამტკიცება, კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღება; კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა;

3. მე-3 მუხლის მე-10 პუნქტს „დ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს:

ე) მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება; ვ) მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების დამტკიცება.

5. მე-3 მუხლის შემდეგ დაემატოს 3 1 და 3 2 მუხლები:

მუხლი 3 1 . საკრებულოს საქმისწარმოება.

1. საკრებულოში ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოება.

2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა საკრებულოში ხორციელდება „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №64 დადგენილების შესაბამისად.

3. ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ა(ა)იპ –მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა – MSDA-ს მეშვეობით. 4. საკრებულოს საქმისწარმოებაში გამოყენებული ელექტრონული დოკუმენტების სახეები, მათი გაფორმების სტანდარტები განისაზღვრება ხორციელდება ა(ა)იპ – მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა – MSDA-თი“.

5. საკრებულოს ელექტრონულ საქმისწარმოებას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

მუხლი 3 2 . ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სწორი და უტყუარი მონაცემების აღრიცხვის და თავისი ფუნქციების შესრულების, მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემებში იგულისხმება:

ა) სახელი; ბ) გვარი; გ) პირადი ნომერი; დ) დაბადების თარიღი; ე) სქესი; ვ) მოქალაქეობა; ზ) ინფორმაცია პირის მისამართზე რეგისტრაციის შესახებ; თ)

ინფორმაცია საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლის შესახებ; ი) ფოტოსურათი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ვალდებულია საქმისწარმოების პროგრამაში ცალკეული ფუნქციების გათვალისწინებით განსაზღვროს მონაცემთა კონკრეტული მოცულობა.

5-4. მუხლის მიზნებისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

6. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 4. საკრებულოს ადგილსამყოფელი და ოფიციალური სიმბოლიკა;

1. საკრებულოს ადგილსამყოფელია ქალაქი ლანჩხუთი, კოსტავას ქუჩა №37.

2. საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და ფრაქციების სხდომები ტარდება საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში. ობიექტური გარემოების არსებობისას, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს საქმიანობა შეიძლება წარიმართოს დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, აგრეთვე საკრებულოს მირ სხდომის სხვ ადგილას ჩატარება დაიშვება საკრებულოს განკარგულებით ან საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, ამ რეგლამენტის 58-ე მუხლით დადგენილი წესით.

3. დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით საკრებულოს საქმიანობა წარიმართება ამ რეგლამენტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, ასევე შესაბამისი პროცედურების მიზნებისა და არსის შენარჩუნებით.

4. საკრებულოს შენობაზე, აგრეთვე იმ ადგილზე სადაც იმართება საკრებულოს სხდომა აღმართული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო დროშა. საკრებულოს შენობაში საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის სიმბოლოები გამოიყენება „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებთან ერთად სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების აღმართვის, გამოფენის და გამოსახვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ივნისის N282 დადგენილებით.

7. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. სხდომათა დარბაზის პრეზიდიუმში ადგილს იკავებენ საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და თავმჯდომარის მოადგილეები.

8. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) (გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) იყოს საკრებულოს ერთი კომისიის, მაგრამ არაუმეტეს ორი კომისიის შემადგენლობაში; საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება აქვს იყოს საკრებულოს კომისიის/კომისიების შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა;

9. მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5) საკრებულოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ, რომლის ზღვრული ოდენობაა თვეში - _____ ლარი.

10. მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულოს თანამდებობის პირები არიან:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე; ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე; გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; 6 დ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები; ე) საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები; ვ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე.

11. მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. საკრებულოს სხდომას, რომელიც იხილავს საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხს, ხსნის და თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის ან მის მიერ ამ მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

12. მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 19. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები 1. საკრებულოს თავმჯდომარეს ჰყავს სამი მოადგილე, მათ შორის, პირველი მოადგილე. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (მათ შორის, პირველ მოადგილეს) თავის შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 36-ე მუხლის და ამ რეგლამენტის მე-20 მუხლით დადგენილი წესით ირჩევს საკრებულო.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების (მათ შორის, პირველი მოადგილის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება დასახელდეს მხოლოდ ორჯერ.

3. საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე ან საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით – მისი ერთ-ერთი მოადგილე.

4. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, მისი თანამდებობიდან გადადგომის ან გადაყენების, მისთვის საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, ხოლო მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე. თუ საკრებულოს თავმჯდომარის არცერთი მოადგილე არ არის არჩეული ან საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა მიერ უფლებამოსილების განხორციელება შეუძლებელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საკრებულოს წევრთაგან უხუცესი.

5. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები ახორციელებენ ფუნქციებს ამ რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის ან საკრებულოს დავალებით.

13. 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 23. საკრებულოს კომისიები და მისი პერსონალური შემადგენლობა

1. საკრებულოს კომისია არის საკრებულოს მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც იქმნება საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს, მერის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული 7 პირების კონტროლის მიზნით. საკრებულო თავისი შეხედულებისამებრ ქმნის არაუმეტეს ხუთ კომისიას.

2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს არანაკლებ 3 წევრით. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი

შემადგენლობის უმრავლესობა.

3. საკრებულოს კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს ფრაქციათა წარმომადგენლობისა და საკრებულოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში. საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურო, ხოლო ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს სამანდატო დროებითი კომისია და ამტკიცებს საკრებულო.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ საკრებულოს კომისიებში, საკრებულოს ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით წარადგენს კომისიაში წევრებს.

5. საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის შესახებ საკრებულოს ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) და საკრებულოს ბიუროს. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია (მუნიციპალიტეტის საკრებულო) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომისიაში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს სათანადო რეაგირებას. ფრაქციის მიერ კომისიაში წარდგენილი წევრი კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის საკრებულოს ბიუროს (მუნიციპალიტეტის საკრებულოს) მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, კომისიის წევრი ხდება ამ პუნქტით დადგენილი წესით, პირადი განცხადების საფუძველზე.

6. თუ საკრებულოს ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს საკრებულოს კომისიაში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია 1 (ერთი) კვირის ვადაში განსაზღვრავს და საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

7. საკრებულოს წევრი (გარდა საკრებულოს თავმჯდომარისა) ვალდებულია იყოს ერთი, მაგრამ არაუმეტეს ორი კომისიის წევრი. საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად იყოს საკრებულოს კომისიის/კომისიების შემადგენლობაში, მაგრამ ჯამში არაუმეტეს ორისა.

8. საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას კოორდინაციას უწევს საკრებულოს ბიურო.

9. საკრებულოს კომისიებია:

ა) იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია; ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; დ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია; ე) სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

14. 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს საკრებულოს კომისიის შემადგენლობიდან, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს საკრებულო.

15. 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან, რის თაობაზეც წერილობით უნდა აცნობოს საკრებულოს ფრაქციას, საკრებულოს ბიუროს

და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას;

16. 41-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 41. საკრებულოს ფრაქციები:

1. საკრებულოს ფრაქცია წარმოადგენს საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება საკრებულოში მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია.

3. საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.

4. საკრებულოს ფრაქციაში არ უნდა იყოს საკრებულოს სამ წევრზე ნაკლები.

5. დაუშვებელია ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო ნიშნით (ეროვნული, რელიგიური, პროფესიული, პირადი ან ტერიტორიული ნიშნით) ფრაქციებად გაერთიანება.

6. ფრაქციას აქვს სახელი. ფრაქციას უნდა გააჩნდეს წესდება.

7. ფრაქციის წესდებით განისაზღვრება ფრაქციის შექმნისა და მის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის წესი, ფრაქციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების არჩევის წესი და კომპეტენცია, ფრაქციის წევრთა უფლებამოსილება, ფრაქციის მიზნები და ამოცანები, წესდებაში ცვლილებების შეტანის პროცედურა.

8. საკრებულოს წევრს უფლება აქვს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გაერთიანდეს ფრაქციაში ან ნებისმიერ დროს გავიდეს ფრაქციიდან. ფრაქციას უფლება აქვს ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით მიიღოს ახალი წევრი ფრაქციაში ან ფრაქციიდან გარიცხოს წევრი.

17. 42-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 42. ფრაქციის შექმნის პროცედურა

1. ფრაქცია რეგისტრაციამდე თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელიც ფრაქციის რეგისტრაციისათვის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას მიმართავს განცხადებით. განცხადებაში აღინიშნება ფრაქციის სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) და ფრაქციის წევრთა ვინაობა. განცხადება ხელმოწერილი უნდა იქნეს ფრაქციის ყველა წევრის მიერ. განცხადებას თან უნდა დაერთოს ფრაქციის მიერ მიღებული ფრაქციის წესდება.

2. ფრაქციის რეგისტრაციის საკითხს ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე დაუყოვნებლივ განიხილავს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია (ხოლო მუდმივი კომისიის შექმნამდე – დროებითი სამანდატო კომისია) და დასკვნას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს (საკრებულოს ბიუროს ფორმირებამდე, საკრებულოს თავმჯდომარეს). საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარე ვალდებულია დროებითი 9 სამანდატო კომისიის დასკვნის წარდგენისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს საკრებულოს სხდომას ფრაქციის დაფუძნების შესახებ. საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარის ამ განცხადებას იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად. მოგვიანებით დაფუძნებული ფრაქციის რეგისტრაციისათვის, განცხადება და ფრაქციის წესდება გადაეცემა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია განცხადებისა და ფრაქციის წესდების წარდგენიდან 3 დღის ვადაში განიხილავს ფრაქციის დაფუძნების შესაბამისობას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის მოთხოვნებთან და საკრებულოს ბიუროს წარუდგენს შესაბამის

დასკვნას. ახალი ფრაქციის შექმნის საკითხი შეიტანება საკრებულოს უახლოეს სხდომის დღის წესრიგში და განიხილება რიგგარეშედ. საკრებულო, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში დასკვნას იღებს ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, საკრებულო ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კენჭისყრით. საკრებულოს მიერ ფრაქციის შექმნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ფრაქცია ითვლება რეგისტრირებულად.

3. ფრაქციაში ახალი წევრის მიღების, ფრაქციიდან წევრის გასვლის ან გარიცხვის, ფრაქციის წესდებაში ცვლილების, ფრაქციის თავმჯდომარის შეცვლის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას. თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად მასში გაერთიანებული დარჩა საკრებულოს 3 წევრზე ნაკლები, ფრაქცია ითვლება გაუქმებულად, რასაც საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია უახლოეს სხდომაზე აცნობებს საკრებულოს.

4. ფრაქციებს რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წარდგინებით. ფრაქციის რეგისტრაციისათვის საჭიროა ფრაქციის თავმჯდომარისა და ფრაქციაში გაერთიანებულ საკრებულოს წევრთა წერილობითი განცხადება და ფრაქციის წესდება.

5. საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუს იძენს მისი რეგისტრაციის მომენტ იდან.

18. 43-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 43. ფრაქციის თანამდებობის პირები და საქმიანობის ორგანიზაცია

1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.

2. ფრაქციის ხელმძღვანელია ფრაქციის თავმჯდომარე. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ფრაქციის ყოველ სამ წევრზე ერთი მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს შვიდისა.

3. ფრაქციის თავმჯდომარე: ა) ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას; ბ) წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში; გ) წარმართავს ფრაქციის სხდომებს; დ) მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით წერილობით (ფრაქციის ტიტულიან ბლანკზე შესრულებული) მიმართოს მერიის თანამდებობის პირებს, სხვა ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს; 10 ე) ახორციელებს კანონმდებლობით, ამ რეგლამენტითა და ფრაქციის წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ფრაქციის თავმჯდომარის და ფრაქციის სხვა თანამდებობის პირების (ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქციის მდივანი და სხვ.), უფლებამოსილების, არჩევის, გადარჩევის და ფრაქციის შიდა ორგანიზაციული მუშაობის საკითხები განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

5. ფრაქციის სხდომის პერიოდულობა, სხდომის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ფრაქციის წესდებით.

6. ფრაქციის მიერ მიღებულ დოკუმენტებს ხელს აწერს ფრაქციის თავმჯდომარე.

19. 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 44. ფრაქციის სხდომა და მისი უფლებამოსილება

1. ფრაქცია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

2. საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანილ სამართლებრივ

აქტებთან დაკავშირებით საკითხის განხილვის დროს ფრაქცია უფლებამოსილია დანიშნოს გამომსვლელი, რომელიც საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ფრაქციის პოზიციას.

3. ფრაქციის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან ფრაქციის გადაწყვეტილებით შეიძლება ჩატარდეს საჯარო ან დახურული სხდომა.

4. საკრებულოს ფრაქციას უფლება აქვს: ა) გამოხატოს და გაატაროს საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით; ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვისა და სხდომაზე მომხსენებლის დანიშვნის თაობაზე; გ) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციების კოალიციასთან ან სხვა ფრაქციასთან გაერთიანების, ფრაქციის გაუქმების, ფრაქციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ; დ) ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით აირჩიოს და გადაირჩიოს ფრაქციის თანამდებ ობის პირები; ე) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე; ვ) წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზ ე; ზ) გადაწყვიტოს ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობითი კვოტების გამოყენების საკითხები; თ) მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს სამართლებრივი აქტის პროექტები; ი) საკრებულოს ყველა კომისიასა და დროებით სამუშაო ჯგუფში შეიყვანოს ფრაქციის ერთი წევრი მაინც; კ) მოითხოვოს ცალკეულ საკითხებზე დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა; ლ) შეკითხვით მიმართოს საკრებულოს მიერ შექმნილ ორგანოებს და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს; მ) საკრებულოს კომისიაში და საკრებულოს სხდომაზე გამოთქვას თავის მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევ, დასანიშნ, დასამტკიცებელ ან იმ კანდიდატურის თაობაზე, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო; 11 ნ) წელიწადში ორჯერ, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე გააკეთოს ფრაქციის ერთსაათიანი მოხსენება; ო) გამოაქვეყნოს თავისი თვალსაზრისი და მიმართვა თვითმმართველი ერთეულის ვებგვე რდზე; პ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

5. ფრაქციის წარმომადგენელს საკრებულოს სხდომაზე გააჩნია სიტყვით გამოსვლის უპირატესი რიგითობა ფრაქციის გარეშე წევრთან შედარებით.

6. მერიის თანამდებობის პირი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს ფრაქციის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

20. 44-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 441 და 442 მუხლები:

მუხლი 441 . საკრებულოს ორგანოებში ფრაქციის წარმომადგენლობა

1. საკრებულოს ორგანოებში საკრებულოს ფრაქციის წარმომადგენლობა განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ საკრებულოს წევრთა რაოდენობის პროპორციულად.

2. საკრებულოს ფრაქციის მიერ საკრებულოს ორგანოში ან საკრებულოს თანამდებობაზე წარდგენილი წევრი საქმიანობას წყვეტს ფრაქციის გაუქმების, მისი ფრაქციიდან გასვლის ან გარიცხვის, ფრაქციის მიერ მისი ამ ორგანოდან გაწვევის შესახებ განცხადების საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან. ფრაქციას უფლება აქვს, ახალი კანდიდატურა წარადგინოს.

3. თუ საკრებულოს ფრაქციის შექმნის, გაუქმების, ფრაქციაში წევრთა შესვლის, ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ფრაქციაში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია განსაზღვრავს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

4. საკრებულოს ფრაქციებისთვის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გაზრდის შემთხვევაში საკრებულოს ორგანოებში ფრაქციის წარმომადგენლობის პერსონალურ საკითხებს წყვეტს შესაბამისი ფრაქცია.

5. თუ საკრებულოს ფრაქციას შეუმცირდა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, იგი ვალდებულია ხელახლა, ახალი კვოტების შესაბამისად წარადგინოს ფრაქციის წევრები საკრებულოს შესაბამის ორგანოში.

მუხლი 442 . საკრებულოს უმრავლესობა და საკრებულოს ოპოზიცია

1. საკრებულოს ბიუროს წარედგინება საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ უმრავლესობის ხელმოწერებით დადასტურებული საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სია, რომელსაც იგი რეგისტრაციაში ატარებს. დაუშვებელია საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში საკრებულოს რომელიმე ფრაქციის წევრთა ნაწილის შეყვანა.

2. საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში მიეთითება საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი. საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი არ არის საკრებულოს თანამდებობა და შესაძლებელია ამ სტატუსის საკრებულოს თანამდებობასთან შეთავსება. საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი უზრუნველყოფს უმრავლესობაში შემავალი ფრაქციებისა და საკრებულოს უფრაქციო წევრთა მუშაობის საერთო პოლიტიკურ კოორდინაციას.

3. საკრებულოს ფრაქციას, უფრაქციო წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს დატოვოს საკრებულოს უმრავლესობა. მისი დატოვების შესახებ იგი აცნობებს საკრებულოს იურიდიულ 12 საკითხთა და ეთიკის კომისიას. თუ საკრებულოს უმრავლესობაში შემავალი საკრებულოს წევრი საკრებულოს ოპოზიციაში შემავალ ფრაქციაში გაერთიანდა, იგი უმრავლესობიდან გასულად ჩაითვლება. შესაბამის ცვლილებას საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წარდგინებით რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო. საკრებულოს ბიურო რეგისტრაციაში არ გაატარებს შესაბამის ცვლილებას, თუ საკრებულოს უმრავლესობაში შემავალ საკრებულოს წევრთა რაოდენობა საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობაზე ნაკლები გახდა. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს უმრავლესობა დაშლილად ითვლება. საკრებულოს უმრავლესობის დაშლის შემდეგ საკრებულოს ბიუროს ამ მუხლით დადგენილი წესით წარედგინება საკრებულოს უმრავლესობის წევრთა ახალი სია, რომელსაც იგი რეგისტრაციაში ატარებს.

4. საკრებულოს უმრავლესობის წევრებს უფლება აქვთ, საკრებულოს ბიუროს ნებისმიერ დროს წარუდგინონ საკრებულოს უმრავლესობის წევრთა განახლებული სია. ეს სია ახლდება ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესით.

5. საკრებულოს ის წევრი, რომელიც არ შედის საკრებულოს უმრავლესობაში, განეკუთვნება საკრებულოს ოპოზიციას. საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წარდგინებით, საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიის რეგისტრაციის ან საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სიაში ცვლილების შეტანის შემდეგ უახლოეს სხდომაზე რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს ბიურო.

21. 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულოს მუშაობის ორგანიზების მიზნით იქმნება საკრებულოს ბიურო (შემდგომში – ბიურო), რომლის შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

22. 53-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. საკრებულოს ბიურო: ა) იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე, ადგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს;

ბ) ადგენს საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტებს; გ) კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობა; დ) ამტკიცებს (გარდა ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომისა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრულ და წარდგენილ საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს; ე) ცნობად იღებს საკრებულოს კომისიის შემადგენლობაში შეტანილ ცვლილებას; ვ) იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოში ინიციირებული სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნების, პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში და მერიაში დაგზავნის, სამართლებრივი აქტის პროექტზე ძირითადი კომისიის (კომისიების) განსაზღვრის, პროექტის განხილვის ვადების და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის სავარაუდო თარიღის შესახებ; ზ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებსა და წინადადებებს; თ) ისმენს ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ანგარიშებს;

13 ი) იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს კომისიებში ანაზღაურებად ექსპერტთა კვოტების შესახებ; კ) რეგისტრაციაში ატარებს საკრებულოს უმრავლესობის და საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიას; ლ) ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და ამ რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

23. 57-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს დამსწრე წევრთაგან უხუცესი.

24. 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საკრებულოს სხდომებს, როგორც წესი, წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში ან მისი დავალებით, საკრებულოს სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

25. 98-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

6. საზოგადოებრივი დარბაზის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.“

26. 102-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. საკრებულოს ანგარიშის მოსმენის სხდომას წარმართავს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.“

27. 121-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 121. საკრებულოს აპარატი

1. საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია საკრებულოს აპარატი, რომლის ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ამ რეგლამენტითა და საკრებულოს აპარატის დებულებით.

2. საკრებულოს სხდომის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით საკრებულოს აპარატი:

ა) უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის და სხდომაზე განსახილველი საკითხების პროექტების და სხვა საჭირო ინფორმაციის მომზადებას, გამრავლებას, გამოქვეყნებას და საკრებულოს წევრებისათვის მათ მიწოდებას; ბ) ადგენს მოწვეულ პირთა სიას და საკრებულოს

თავმჯდომარის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფენ ამ პირთა გაფრთხილებას; გ) ახდენს საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას; დ) ეხმარება საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის წაყვანის პროცესში, სხდომაზე წესრიგის დაცვასა და სხდომის ტექნიკურ უზრუნველყოფაში; ე) უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, საინფორმაციო და მატერიალურტექნიკურ მომსახურებას; ვ) საქართველოს კანონმდებლობისა და ამ რეგლამენტის 107-ე, 108–ე და 110–ე მუხლებით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საკრებულოს სხდომის ოქმის შედგენას, საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების გაფორმებას, გამოქვეყნებას და დაგზავნას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 12 წევრი.

მომხრე ბიუროს 12 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არის ამორტიზირებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ ექვემდებარება რეაბილიტაციას და ამახინჯებს ინფრასრუქტურას. მისი თქმით, აუცილებელია, დროულად გაირკვეს ვის ბალანსზეა ეს ობიექტები და უმოკლეს ვადაში მოხდეს მათი დემონტაჟი, რადგან დროის ფაქტორი უკუპროპორციულად მოქმედებს მათ თვითღირებულებაზე.

თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** ასევე აღნიშნა, რომ მართალია საკრებულოს აპარატს ყავს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, მაგრამ ის დატვირთული რეჟიმის გამო ვერ ახერხებს ინტენსიურად დაეხმაროს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, რის გამოც ამ კომისიის თავმჯდომარეს გამართული საქმიანობისთვის ესაჭიროება ექსპერტი სპეციალისტი (იურისტი) და ამის საშუალება კომისიას რეგლამენტით აქვს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა რომ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის უმეტესობაში

დაზიანებულია სასმელი წყლის მილები, რის გამოც მოსახლეობას არ მიეწოდება წყალი ან მიეწოდება დაბინძურებული სახით. მან მოსახლეობის სახელით არა ერთხელ მიმართა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელს პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ მათი მომსახურება, გარკვეული ბარიერების გამო, იმდენად გაწელილია დროში, რომ უმეტესად საკუთარი სახსრებით უწევს პრობლემის მოგვარება. მისი თქმით, კარგი იქნება, შემდგომში შესაბამისი სამსახური უფრო სწრაფად და ეფექტურად თუ მოახდენს პრობლემის აღმოფხვრას.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, რატომ ამახინჯებს ქალაქის იერსახეს უკვე პრივატიზებული ობიექტები, კერძოდ, ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის და კინოს შენობა. ის ასევე დაინტერესდა საიდან ხდება ხელფასების მატებაზე მიმართული მილიონი ლარის მობილიზება და აპირებს თუ არა საკრებულო თანადგომის წერილის გაგზავნას 2010 წელს დამეგობრებულ, უკრაინის ქალაქ ნოვაია კახოვკასთვის, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან უარის შემთხვევაში ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავად მოამზადებს და გააგზავნის მას.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე გამოეხმაურნენ და დაგმეს რუსეთის აგრესია უკრაინის წინააღმდეგ, რასაც თავის მხრივ უერთდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი და მხარდაჭერას და თანადგომას უცხადებს მეგობარ უკრაინელ ხალხს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, თუ როგორია მუნიციპალიტეტის მერის რეაგირება კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების აუდიტის დასკვნასთან და მისი დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ხშირად ამორტიზებული შენობების დემონტაჟი თვითღირებულებაზე ძვირი ჯდება, მაგრამ ყველაზე დიდ წინააღმდეგობას ისინი ამ ობიექტების მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსიდან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის საკითხში აწყდებიან, ხოლო რაც შეეხება უკვე პრივატიზებულ ობიექტებს, კინოს შენობა ჯერ ახალი გაყიდულია და ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის თაობაზე იყო საუბარი მეპატრონეებთან, რომელთაც სურვილი აქვთ ობიექტის მოწესრიგება მიმდინარე წელს დაიწყონ.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების სამსახურის თანამშრომლებს არ შეუძლიათ კილომეტრობით მაგისტრალის გამოცვლა, მაგრამ მცირე მოცულობის სამუშაოებზე შეძლებისდამაგვარად რეაგირებენ: შეაკეთებენ დაზიანებულ წყლის მატორს, ცვლიან მეტრობით მილებს, გადასაბმელებს და ა.შ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების აუდიტის დასკვნაში არის ისეთი შენიშვნები, რომლებიც ცნობილი იყო მისთვის და არ საჭიროებს დამატებით რეაგირებას, ხოლო რაც შეეხება აღნიშნული დაწესებულების დირექტორს, ის ამჟამად იმყოფება შვებულებაში.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი